


EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

© ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2012. წინამდებარე თარგმანი განხორციელდა ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდის მხარდაჭერით (www.coe.int/humanrightstrustfund). თარგმანი არ ატარებს სასამართლოსათვის სავალდებულო ხასიათს. დამატებითი ინფორმაციისათვის იხ. საავტორო უფლებასთან დაკავშირებული სრულყოფილი ინფორმაცია წინამდებარე დოკუმენტის ბოლოში

© Council of Europe/European Court of Human Rights, 2012. This translation was commissioned with the support of the Human Rights Trust Fund of the Council of Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). It does not bind the Court. For further information see the full copyright indication at the end of this document.

© Conseil de l'Europe/Cour européenne des droits de l'homme, 2012. La présente traduction a été effectuée avec le soutien du Fonds fiduciaire pour les droits de l'homme du Conseil de l'Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). Elle ne lie pas la Cour. Pour plus de renseignements veuillez lire l'indication de copyright/droits d'auteur à la fin du présent document.



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

მეორე სექცია

სინანის საქმე თურქეთის წინააღმდეგ

(განაცხადი ნო. 21924/05)

განჩინება
სტრასბურგი
2010 წლის 2 თებერვალი

საბოლოო ვარიანტი

02/05/2010

წინამდებარე განჩინება საბოლოო გახდება კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტში მოცემული გარემოებების დადგომის შემთხვევაში. იგი შეიძლება დაექვემდებაროს რედაქტირებას

საქმეში სინან იშვიკი თურქეთის წინააღმდეგ,

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (მეორე სექცია), რომელიც შეიკრიბა პალატის სახით შემდეგ მოსამართლეთა შემადგენლობით:

ფრანსუაზა ტულკენსი, თავმჯდომარე,
ირენეუ კაბრალ ბარრეტო,
ვლადიმრო ზაგრებელსკი,
დანუტე ჟოსიენე,
დრაგოლუბ პოპოვიჩი,
ანდრას საიო,
ისილ კარაკასი, მოსამართლეები,
და სალი დოლე, სექციის რეგისტრატორი,

იმსჯელა განმარტოებით 2009 წლის 15 დეკემბერს,
და ამავე დღეს გამოიტანა წინამდებარე განჩინება:

პროცედურა

1. საქმე მომდინარეობს თურქეთის მოქალაქის ბ-ნი სინან ისიკის (შემდგომში “განმცხადებელი”) მიერ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის (‘კონვენცია’) 34-ე მუხლის თანახმად, 2005 წლის 3 ივნისს თურქეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ შეტანილი განაცხადიდან (#30141/04).
2. განმცხადებლის ინტერესებს წარმოადგენდა ბ-გენცი, ანკარაში მოღვაწე ადვოკატი. თურქეთის მთავრობის (“მთავრობის”) ინტერესებს წარმოადგენდა მთავრობის აგენტი.
3. კერძოდ განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ ხელისუფლების ორგანოების მხრიდან მისთვის უარის განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ მის პირადობის მოწმობაში სიტყვა “ისლამი” შეცვლილიყო იმ სარწმუნოების სახელით, რომლის მიმდევარიც იგი იყო, ანუ “ალევით”, არღვევდა კონვენციის მე-9 მუხლს. განმცხადებელი ასევე ამტკიცებდა კონვენციის მე-6 და მე-14 მუხლების დარღვევას.
4. 2008 წლის 15 იანვარს მეორე სექციის თავმჯდომარემ გადაწყვიტა, რომ ეცნობებინა მთავრობისათვის შეტანილი განაცხადის შესახებ. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ პალატა თანადროულად იმსჯელებდა განაცხადის დაშვებადობისა და

არსებით მხარესთან მიმართებაში (კონვენციის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტი).

ფაქტები

I. საქმის გარემოებები

5. ბ-ნი ისიკი დაიბადა 1962 წელს და ცხოვრობს იზმირში. იგი არის ალევის რელიგიური სათვისტომოს წევრი, რომელიც ძალიან გავრცელებულია თურქეთის საზოგადოებაში და მნიშვნელოვან როლს თამაშობს თურქეთის ისტორიაში. ხსენებულ ადმსარებლობას, რომელზეც ზეგავლენა მოახდინა კერძოდ სუფიზმა და ისლამამდე არსებულმა ადმსარებლობებმა, ზოგიერთი ალევი მეცნიერი თვლის ცალკე რელიგიად, ხოლო გარკვეული მეცნიერები კი მას თვლიან როგორც ისლამის რელიგიიუს “ძირითადი იდეების მატარებლად” ან “თავდაპირველ ფორმად”. ხსენებული ადმსარებლობის პრაქტიკაში განხორციელება გარკვეულ ასპექტებში განსხვავდება სუნიტური სამართლის სკოლისაგან, მაგალითად როგორც არის ლოცვა, მარხვა და პილიგრიმოზა (იხ. *Hasan and Eylem Zengin v. Turkey*, no. 1448/04. 1448/04, § 8, 2007 წლის 9 ოქტომბერი)

6. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მის პირადობის მოწმობაში, რომელიც გაცემულ იქნა დაბადების, ქორწინებისა და გარდაცვალების საკითხებში მოქმედი რეგისტრატორის მიერ, მოცემული იყო “რელიგიის” გრაფა, რომელშიც ეწერა “ისლამი”, მიუხედავად იმისა, რომ იგი არ იყო ხსენებული რელიგიიუს მიმდევარი.

7. 2004 წლის 7 მაისს მან მიმართა იზმირის რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა, რომ რელიგიიუს გრაფაში მინიშნებული ყოფილიყო სიტყვა “ალევი” და არა სიტყვა “ისლამი”. ხსენებული განაცხადის შესაბამისი ნაწილები შემდეგნაირად იყო ჩამოყალიბებული:

“... სიტყვა ‘ისლამი’ რომელიც მოცემულია ჩემს პირადობის მოწმობაში, არ ასახავს რეალურად არსებულ სიტუაციას. როგორც თურქეთის რესპუბლიკის ალევი მოქალაქე, მე ვფიქრობდი, რომ ჩემი ცოდნისა და რწმენის გათვალისწინებით, პირი არ შეიძლება ერთი და იგივე დროს იყოს ‘ალევის’ და ‘ისლამის’ მიმდევარიც. როგორც თურქეთის სეკულარული რესპუბლიკის, რომლის

კონსტიტუციაც იცავს რელიგიისა და მრწამსის თავისუფლებას, მოქალაქე მე უარყოფ კვლავაც შევეგუო ამ უსამართლობას და უკანონობას, რომელიც მომდინარეობს შიშის გაქრობის სურვილიდან და რომელსაც არ გააჩნია არანაირი საფუძველი და ძალიან შეურაცხმყოფელია”.

8. 2004 წლის 9 ივლისს ხსენებული სასამართლოს მოთხოვნის საფუძველზე, რელიგიურ საკითხთა დირექტორატის სამართლებრივმა მრჩეველმა გამოაქვეყნა თავისი მოსაზრება განმცხადებლის მოთხოვნასთან დაკავშირებით. მისი მოსაზრებით რელიგიური ინტერპრეტაციების ან ქვეკულტურების მითითება პირადობის მოწმობაში არსებულ რელიგიის გრაფაში, შეუთავსებელი იყო სახელმწიფოს ერთიანობის, რესპუბლიკის პრინციპებისა სეკულარიზმის პრინციპებთან. კერძოდ განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ სიტყვა ‘ალევი’, რომელიც წარმოადგენდა ისლამის რელიგიის ქვე კატეგორიას, არ შეიძლება მიჩნეული ყოფილიყო ცალკე რელიგიად ან მიმართულებად (“mezhep”). ხსენებული წარმოადგენდა ისლამის იმგვარ განმარტებას, რომელზეც ზეგავლენას ახდენდა სუფიზმი და რომელსაც გააჩნდა გარკვეული კულტურული თავისებურებები.

9. 2004 წლის 7 სექტემბერს, სასამართლომ უარყო განმცხადებლის მოთხოვნა და დაეყრდნო შემდეგ არგუმენტაციას:

“1... პირადობის მოწმობაში არსებული რელიგიის გრაფა შეიცავს ზოგად ინფორმაციას მოქალაქის რელიგიასთან დაკავშირებით. შესაბამისად მართებულია იმის განხილვა წარმოადგენს თუ არა ალევის აღმსარებლობა (*Alevilik*) ცალკე რელიგიას, თუ იგი არის ისლამის ინტერპრეტაცია. რელიგიურ საკითხთა დირექტორატის ხელმძღვანელობის მოსაზრებით, ალევი წარმოადგენს ისლამის ინტერპრეტაციას, რომელზეც ზეგავლენას ახდენს სუფიზმი და რომელსაც გააჩნია კონკრეტული კულტურული თავისებურებები. შესაბამისად, ამ მიმართულებით არსებული ზოგადი პრინციპების თანახმად ხსენებული აღმსარებლობა წარმოადგენს ისლამის ინტერპრეტაციას და არ არის როგორც ასეთი ცალკე რელიგია. გარდა ამისა, პირადობის მოწმობაში მითითებულია მხოლოდ რელიგიები და არა კონკრეტული რელიგიის ინტერპრეტაცია ან ქვეკატეგორიები. შესაბამისად ადგილი არ ჰქონია რაიმე შეცდომის დაშვებას, როდესაც განმცხადებლის პირადობის მოწმობაში

მითითებულ იქნა 'ისლამი', მიუხედავად იმისა, რომ იგი აცხადებს რომ არის 'ალევი'".

2. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი წიგნები და სტატიები მიუთითებენ, რომ ალი აღწერილია, როგორც 'ალაჰის ლომი' ან ანალოგიური. ის ფაქტი, რომ გარკვეული პოემები მოიცავენ განსხვავებულ გამონათქვამებს არ ნიშნავს იმას, რომ ალევის აღმსარებლობა არ წარმოადგენს ისლამის ნაწილს. რადგანაც ალი არის ისლამის ერთ ერთი ხალიფა და მოჰამედის სიზე, იგი უნდა ჩაითვალოს ისლამის ერთ ერთ უმნიშვნელოვანეს პიროვნებად.

3. მაგალითად ქრისტიანობაშიც ასევე არის ქვეკატეგორიები, როგორებიც არიან კათოლიკეები და პროტესტანტები, რომლებსაც მიუხედავად ყველაფრისა საერთო რელიგია ქრისტიანობა აქვთ. ხსენებულიდან გამომდინარე მაშინ როდესაც ვინმე იზიარებს ისლამის კონკრეტულ ინტერპრეტაციას, ხსენებული არ ნიშნავს, რომ ეს ინტერპრეტაცია არ არის ისლამის ნაწილი..."

10. დაუდგენელ დღეს განმცხადებელმა საჩივრით მიმართა საკასაციო სასამართლოს. იგი ჩიოდა, რომ მას ეკისრებოდა ვალდებულება გაემძღავნებინა თავისი აღმსარებლობა, რადგანაც სავალდებულო იყო პირადობის მოწმობაში რელიგიის მითითება, და ეს ყველაფერი ხდებოდა მისი თანხმობის გარეშე და არღვევდა რელიგიისა და აღმსარებლობის თავისუფლებას კონვენციის მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტის მნიშვნელობით. იგი ასევე ამტკიცებდა, რომ ხსენებული მითითება, რომელიც გამომდინარეობდა სამოქალაქო რეგისტრაციის კანონის 43-ე მუხლიდან (კანონი #1587), არ შეიძლებოდა მიჩნეულიყო კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად. ამ უკანასკნელის თანახმად კი "არავის შეიძლება დაეკისროს ვალდებულება გაამჟღავნოს თავისი რელიგიური მრწამსი და აღმსარებლობა". განმცხადებელი ასევე ამტკიცებდა, რომ მან წარადგინა 2 პრეტენზია. პირველი პრეტენზია: პირველი პრეტენზიის თანახმად იგი ითხოვდა სიტყვა 'ისლამის', რომელიც აღნიშნავდა მის რელიგიას პირადობის მოწმობაში წაშლილიყო, ხოლო მეორე პრეტენზიის თანახმად კი იგი მოითხოვდა სიტყვა "ალევი"-ს ჩასმას შესაბამის გრაფაში. განმცხადებლის მტკიცებით პირველი ინსტანციის სასამართლოს შეეძლო ცალ ცალკე განეხილა ხსენებული მოთხოვნები, მას შეეძლო დაეკმაყოფილებინა პირველი მოთხოვნა და უარი ეთქვა მეორე მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, შეეძლო დაედგინა, რომ რელიგიის მითითება არ იყო შესაბამისობაში კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-3 ნაწილთან. და ბოლოს, განმცხადებელი ასაჩივრებდა

იმ სამართალწარმოებას, რომლის შედეგადაც მას უარი ეთქვა მოთხოვნაზე და რელიგიურ საკითხთა დირექტორატმა მისი აღმსარებლობა მიიჩნია ისლამის განმარტებად.

11. 2005 წლის 21 დეკემბერს საკასაციო სასამართლომ, ყოველგვარი დამატებითი არგუმენტაციის გარეშე, ძალაში დატოვა ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილება.

II. შესაბამისი ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობა და პრაქტიკა

ა. ეროვნული კანონმდებლობა

1. კონსტიტუცია

12. თურქეთის კონსტიტუციის მე-10 მუხლის თანახმად:

“ყველა პირი თანასწორია კანონის წინაშე მიუხედავად ენის, რასის, კანის ფერის, სქესის, პოლიტიკური შეხედულების, ფილოსოფიური მრწამსის, რელიგიის, რელიგიური სექტის წევრობის ან სხვა ანალოგიური საფუძვლისა.”

...

ხელისუფლების ორგანოებმა და ადმინისტრაციული ხელისუფლების ორგანოებმა ყველა გარემოებისას უნდა იმოქმედონ კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპზე დაყრდნობით”.

13. კონსტიტუციის 24-ე მუხლის შესაბამისი ნაწილის თანახმად:

“ყველას აქვს უფლება სინდისის, აღმსარებლობისა და რელიგიური მრწამსის თავისუფლებაზე.

...

დაუშვებელია ვინმეს იძულება მონაწილეობა მიიღოს ლოცვაში, რიტუალის ან რელიგიური მსახურების შესრულებაში. ასევე დაუშვებელია ვინმეს იძულება გაამჟღავნოს თავისი რელიგიური რწმენა და მრწამსი; დაუშვებელია ვინმეს ცენზურა პასუხისგებაში მიცემა რელიგიური რწმენისა თუ მრწამსის გამო...”

14. 36-ე მუხლის თანახმად:

“რელიგიურ საკითხთა დირექტორატი, რომელიც წარმოადგენს ზოგადი ადმინისტრაციის ნაწილს, ასრულებს სპეციალური კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებებს და საქმიანობისას ხელმძღვანელობს სეკულარიზმის პრინციპით. ორგანო თავისუფალია ყოველგვარი პოლიტიკური შეხედულებისა თუ იდეისაგან, იცავს ეროვნული სოლიდარობისა და მთლიანობის პრინციპებს”

2. კანონი სამოქალაქო რეგისტრაციის შესახებ (კანონი 1587)

15. სამოქალაქო რეგისტრაციის შესახებ კანონის (Nüfus Kanunu) 43-ე მუხლის იმ დებულებების თანახმად, რომლებიც ძალაში იყო განვითარებული მოვლენების დროს:

“სამოქალაქო რეგისტრირების აქტები უნდა შეიცავდნენ შემდეგ ინფორმაციას ინდივიდებისა და მათი ოჯახების შესახებ...

ა. ინფორმაცია სამოქალაქო სტატუსთან დაკავშირებით:

- (1) სახელი, გვარი, გენდერი, მშობლების სახელები და გვარები, დედის ქალიშვილობის გვარი;
- (2) დაბადების ადგილი და თარიღი, რეგისტრაციის თარიღი (წელი, თვე და დღე);
- (3) შესწორებები...
- (ბ) სხვა ინფორმაცია

...

- (2) რელიგია
- ..”

3. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი პრეცედენტული სამართალი

16. 1995 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილებით, რომელიც გამოქვეყნდა ოფიციალურ ბეჭდვით ჟურნალში 1995 წლის 14 ოქტომბერს, საკონსტიტუციო სასამართლომ სამოქალაქო რეგისტრაციის კანონის 43-ე მუხლი, კონსტიტუციის მე-2 მუხლთან (სეკულარიზმი) და 24-ე მუხლთან (რელიგიის თავისუფლება) შესაბამისად გამოაცხადა. კერძოდ საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა:

“სახელმწიფოსათვის ცნობილი უნდა იყოს მოქალაქის გარკვეული მახასიათებლები. ხსენებული ინფორმაცია საჭიროა საჯარო პოლიტიკისათვის, ზოგადი ინტერესებისათვის და ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური მიმართულებებისათვის..

სეკულარულმა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს რელიგიის კუთხით ნეიტრალურობის შენარჩუნება. შესაბამისად პირადობის მოწმობებში რელიგიის მითითება არანაირ საფრთხეს აღარ ქმნის მოქალაქეებს შორის არათანაბარი მდგომარეობის ჩამოყალიბების კუთხით... სეკულარულ სახელმწიფოში ყველა რელიგია თანასწორია. არავინ შეიძლება ჩაერიოს სხვის რწმენაში ან ზეწოლა მოახდინოს პირზე რომ მას რწმენა არ გააჩნია. გარდა ხსენებულისა, ეს წესი მოქმედებს ყველა რწმენასთან მიმართებით და შესაბამისად ადგილი არ აქვს დისკრიმინაციას...

ის წესი, რომ ‘დაუშვებელია ვინმეს იძულება, რათა მან გაამჟღავნოს რელიგიური რწმენა და მრწამსი’ არ შეიძლება განმარტებულ იქნეს იმგვარად, რომ კრძალავდეს პირის რელიგიური კუთვნილების აღნიშვნას ოფიციალურ დოკუმენტებში. კონსტიტუცია კრძალავს იძულებას.

იძულება ეხება რელიგიური მრწამსისა და აღმსარებლობის გამჟღავნებას. ‘რელიგიური მრწამსი და აღმსარებლობა’ არ იზღუდება დემოგრაფიული მიზნით სახელმწიფოს სამოქალაქო რეგისტრაციის დოკუმენტებში პირის რელიგიის შესახებ ინფორმაციის აღნიშვნით. ხსენებული ცნება ფართეა და მოიცავს მრავალ ფაქტორს, რომელიც უკავშირდება რელიგიასა და რწმენას.

ის წესი, რომ ‘დაუშვებელია ვინმეს იძულება, რათა მან გაამჟღავნოს რელიგიური რწმენა და მრწამსი’ წაკითხულ უნდა იქნეს იმ წესთან ერთობლიობაში, რომლის თანახმადაც ‘დაუშვებელია ვინმეს ცენზურა და პასუხისგებაში მიცემა მისი რელიგიური მრწამსისა თუ აღმსარებლობისათვის’. ხსენებული არანაირად არ უნდა ჩაითვალოს იძულებად, ცენზურად ან პასუხისგებაში მიცემად.

გარდა ხსენებულისა, სამოქალაქო კოდექსის 266-ე მუხლის თანახმად ‘სრულწლოვანი პირი თავისუფალი უნდა იყოს რელიგიის არჩევაში’. შესაბამისად ნებისმიერ პირს, რომელსაც სურს სამოქალაქო რეესტრში დაფიქსირებული რელიგიის შეცვლა, შეუძლია წარუდგინოს ხსენებული მოთხოვნა სარეგისტრაციო

ორგანოებს. ხსენებული ცვლილება განხორციელება დეცენტრალიზებული ხელისუფლების ორგანოს ინსტრუქციის საფუძველზე. ანალოგიურად, ნებისმიერ პირს, რომელსაც სურს ხსენებული ინფრომაციის წაშლა ან სხვა მრწამსის დაფიქსირება, რომელიც არ წარმოადგენს რელიგიას, შეუძლია მიმართოს სამოქალაქო სასამართლოს...

დასკვნის სახით აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო კოდექსის 43-ე მუხლი არ მოიაზრებს ვალდებულებას. იგი ეხება მხოლოდ პირის რელიგიასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, რომლის მიწოდებაც ხდება სამოქალაქო რეესტრისათვის საჯარო პოლიტიკის თუ ზოგადი ინტერესებიდან ისევე როგორც სოციალური საჭიროებიდან გამომდინარე...”

საკონსტიტუციო სასამართლოს თერთმეტიდან ხუთმა მოსამართლემ არ გაიზიარა უმრავლესობის აზრი და დაადგინა, რომ რელიგიის მითითება სახელმწიფოს სამოქალაქო რეესტრში, ისევე როგორც პირადობის დოკუმენტაციაში, შეუსაბამო იყო კონსტიტუციის 24-ე მუხლთან. კერძოდ უმცირესობაში მყოფმა ერთ-ერთმა მოსამართლემ განაცხადა, რომ:

“სამოქალაქო რეგისტრაციის კანონის თანახმად, ბავშვების მშობლები ან სამართლებრივი წარმომადგენლები ვალდებული არიან გააცხადონ თავიანთი შვილების რელიგია, ხსენებულის არ განხორციელების შედეგად კი არანაირი ჩანაწერი არ გაკეთდება. არასრულწლოვნის ნებართვის გარეშე რელიგიის გრაფის შეტანა ოჯახის სარეგისტრაციო ფორმასა და პირადობის მოწმობაში, იმ მომენტამდე სანამ ბავშვი მიაღწევს სრულწლოვანების ასაკს, წარმოადგენს რელიგიის დე ფაქტო სავალდებულო გამჟღავნებას ყოველდღიურ ცხოვრებაში... გამჟღავნების ხსენებული ვალდებულება, რომელიც გამომდინარეობს სამოქალაქო სტატუსის დამადასტურებელ დოკუმენტში რელიგიის მითითებიდან და ხსენებული დოკუმენტის წარდგენის ვალდებულება სკოლაში ან სამხედროს ფორმალობების მოგვარებისას, ჩემი აზრით ნამდვილად არ წარმოადგენს ‘იძულებას’”.

4. კანონი სამოქალაქო რეესტრის სამსახურის შესახებ (კანონი #5490) და მისი შესაბამისი დებულებები

17. სამოქალაქო რეესტრის სამსახურის შესახებ კანონის მე-7 და 35-ე მუხლების შესაბამისი დებულებების თანახმად (Nüfus Hukmukleri Kanunu), რომელიც ძალაში შევიდა 2006 წლის 29 აპრილს (და გააუქმა ზემოხსენებული კანონი სამოქალაქო რეგისტრაციის შესახებ):

მე-7 მუხლი

სამოქალაქო რეესტრისათვის საჭირო პირადი ინფორმაცია

“1. ყოველი რაიონისა თუ სოფლისათვის შექმნილია სამოქალაქო რეესტრი. სამოქალაქო რეესტრი უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

...

(ე) რელიგიას

...

”

მუხლი 35

მონაცემების შესწორება

“1. დაუშვებელია სამოქალაქო რეესტრში ცვლილების შეტანა საბოლოო სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე...

2. პირის რელიგიასთან დაკავშირებული ინფორმაცია უნდა იქნეს დაფიქსირებული ან შეცვლილი პირის წერილობითი განცხადების შესაბამისად; ხსენებული დანიშნულების მატარებელი გრაფა შესაძლოა დარჩეს თავისუფალი ან მასში მოცემული ინფორმაცი შეიძლება წაიშალოს”

18. 82-ე მუხლის შესაბამისი დებულებების თანახმად, რომლებიც მიღებულ იქნა 2006 წლის 29 სექტემბერს

მუხლი 82

რელიგიასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოთხოვნა

“ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც ეხება პირის რელიგიას უნდა იქნეს დაფიქსირებული, შეცვლილი, წაშლილი ან გამოტოვებული პირის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. რელიგიასთან

დაკავშირებული ინფორმაციის შეცვლის ან წაშლის მოთხოვნა არ შეიძლება დაექვემდებაროს რაიმე სახის შეზღუდვას”.

5. რელიგიურ საკითხთა დირექტორატი

19. რელიგიურ საკითხთა დირექტორატი შეიქმნა 1965 წლის 22 ივნისის კანონის საფუძველზე, რომელიც ეხებოდა რელიგიურ საკითხთა დირექტორატის ფუნქციებს და გამოქვეყნებულ იქნა ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში 1965 წლის 2 ივლისს. ხსენებული კანონის 1-ლი მუხლის თანახმად რელიგიურ საკითხთა დირექტორატი ანგარიშვალდებულია პრემიერ მინისტრის წინაშე, პასუხისმგებელია ისეთ საკითხებზე, როგორიც არის რწმენა, ისლამის აღმსარებლობა და მორალური პრინციპები და აღმსარებლობის განხორციელების ადგილები. დირექტორატის შიგნით, რელიგიურ საკითხთა უზენაესი საბჭო წარმოადგენს გადაწყვეტილების მიმღებ და საკონსულტაციო უმაღლეს ორგანოს. ხსენებული ორგანო შედგება თექვსმეტი წევრისაგან, რომელსაც ნიშნავს დირექტორატის თავმჯდომარე. ხსენებული ორგანო კომპეტენტურია პასუხი გასცეს რელიგიასთან დაკავშირებულ საკითხებს (#633 კანონის მე-5 მუხლი).

ბ. რელიგიისა თუ აღმსარებლობის კანონმდებლობის გადასინჯვასთან დაკავშირებული სახელმძღვანელო პრინციპები, მიღებულია ვენეციის კომისიის მიერ

20. ვენეციის კომისიის მიერ 59-ე პლენარულ სხდომაზე მიღებული (ვენეცია, 2004 წლის 18 და 19 ივნისი) “რელიგიისა თუ აღმსარებლობის კანონმდებლობის გადასინჯვასთან დაკავშირებული სახელმძღვანელო პრინციპების” შესაბამისი დებულებების თანახმად:

“არსებითი საკითხები, რომლებიც მოცემულია კანონმდებლობაში

...

2. “რელიგიის” განმარტება. კანონმდებლობაში ხშირად გვხვდება ხოლმე იმის მცდელობა, რომ განსაზღვრულ იქნეს რელიგიის კონცეპცია ან შესაბამისი ტერმინები (როგორების არის სექტა, კულტი, ტრადიციული რელიგია და სხვ.). საერთაშორისო

სამართალში არ არსებობს ასეთი ტერმინების ზოგადად მიღებული განმარტება და მრავალი სახელმწიფო წააწყდა სიმძნელს ასეთი ტერმინების განმარტებისას. არსებობს მოსაზრება, რომ ასეთი ტერმინების სამართლებრივი განსაზღვრა შეუძლებელია, რადგანაც რელიგიის კონცეპცია თავის თავში მოიცავს ბუნდოვანებას. ზოგადი განმარტებისას დაშვებული შეცდომა იქნებოდა მოგვეთხოვა, რომ ღმრთისადმი რწმენა აუცილებელია, რათა ხსენებული ჩაითვალოს რელიგიად. ამის საწინააღმდეგო ნათელ მაგალითს წარმოადგენს კლასიკური ბუდიზმი, რომელიც არ არის თეისტური, და ჰინდუზმი, რომელიც არის პოლითეისტური...

რელიგია ან რწმენა. საერთაშორისო სტანდარტები არ განიხილავს რელიგიას იზოლირებულად, არამედ როგორც 'რელიგიას' ან 'მრწამსს'. 'მრწამსის' ასპექტი ტიპიურად ეხება ფლმად გამჯდარ შინაგან მრწამსს, რომელიც ატარებს ფუნდამენტურ მნიშვნელობას კაცობრიობასა და სამყაროსათვის. ამგვარად, მაგალითად, ათეიზმი და აგნოციზმი ზოგადად მიჩნეულია რომ სარგებლობენ იგივე დაცვით როგორც რელიგიური აღმსარებლობები. ხშირად კანონმდებლობისათვის დამახასიათებელია ხოლმე, რომ არ იქნეს ადექვატურად დაცული (ან არ განხორციელდეს საერთოდ მითითება) ურწმუნოთა უფლებები...

ბ. ძირითადი ფასეულობები, რომლებიც საფუძვლად უდევს რელიგიის ან მრწამსის თავისუფლებასთან დაკავშირებულ სტანდარტებს

ეუთოს რეგიონში ფართე კონსენსუსი იქნა მიღწეული რელიგიისა თუ მრწამსის თავისუფლების კონტურებთან დაკავშირებით, როგორც ეს მოცემულია ადამიანის უფლებების შესაბამის საერთაშორისო აქტებში. ფუნდამენტური საკითხები, რომლებიც უნდა იქნეს გათვალისწინებული ამ სფეროში მოქმედი კანონმდებლობის მიღებისას, მოიცავს შემდეგ უმთავრეს ასპექტებს:

1. შინაგანი თავისუფლება (ფორუმ ინტერნუმ). უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო აქტები ადასტურებენ, რომ 'ყველას აქვს უფლება მრწამსის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებაზე'. რელიგიის გამჟღავნების საპირისპიროდ, მრწამსის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება, რომელიც ხვდება ფორუმ ინტერნუმ –ში აბსოლუტური ხასიათის არის და არ შეიძლება დაექვემდებაროს

რაიმე სახის შეზღუდვას. ამგვარად მაგალითად, საკანონმდებლო მოთხოვნა, რომელიც ავალდებულებს პირს ნების საწინააღმდეგოდ გაამძღავნოს თავისი რელიგიური მრწამსი, დაუშვებელია...”.

სამართალი

I. კონვენციის მე-9 მუხლის სავარაუდო დარღვევა

21. განმცხადებელი ამტკიცებდა კონვენციის მე-9 მუხლის დარღვევას, რომლის თანახმადაც:

1. ყველას აქვს უფლება აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებისა; ეს უფლება მოიცავს რელიგიის ან რწმენის შეცვლის თავისუფლებას და, აგრეთვე, თავისუფლებას როგორც ინდივიდუალურად, ისე სხვებთან ერთად, საქვეყნოდ ან კერძოდ გააცხადოს თავისი რელიგია თუ რწმენა აღმსარებლობით, სწავლებით, წესების დაცვითა და რიტუალების აღსრულებით.

2. რელიგიის ან რწმენის გაცხადების თავისუფლება ექვემდებარება მხოლოდ ისეთ შეზღუდვებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობის თუ ზნეობის ან სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად.

22. განმცხადებელი ჩიოდა, რომ მას დაეკისრა ვალდებულება, მისი თანხმობის გარეშე და რელიგიისა და მრწამსის თავისუფლების უფლების დარღვევით, გაემჟღავნებინა თავისი მრწამსი, რადგანაც სავალდებულო იყო რელიგიის მითითება მის პირადობის მოწმობაში. განმცხადებლის თანახმად, რელიგიის მითითების ვალდებულება არ შეიძლება ჩაითვალოს შესაბამისად კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-3 პუნქტთან, რომლის თანახმადაც “არავის შეიძლება დაეკისროს ვალდებულება გაამჟღავნოს თავისი რელიგიური მრწამსი ან აღმსარებლობა”. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ პირადობის მოწმობის წარდგენა სავალდებულო იყო ხელისუფლების ნებისმიერი ორგანოს მოთხოვნის საფუძველზე, კერძო საწარმოს მოთხოვნისას ან ნებისმიერი ფორმალის განხორციელების კონტექსტში.

განმცხადებელმა ასევე აღნიშნა, რომ მან მოითხოვა პირადობის მოწმობაში სიტყვა 'ისლამის' შეცვლა მისი მრწამსის ამსახველი სიტყვით 'ალევი' და ამტკიცებდა, რომ არსებული მითითება, რელიგიური კუთვნილების კუთხით, არასწორი იყო. განმცხადებელი ჩიოდა იმ სამართალწარმოებასთან დაკავშირებით, რომლის შედეგადაც უარყოფილ იქნა მისი განაცხადი, და რომლის განხილვის დროსაც რელიგიურ საკითხთა საბჭომ მისი რწმენა დაახასიათა, როგორც ისლამის განმარტება.

ა. დაშვებადობა

1. სამართლებრივი დაცვის ეროვნული საშუალებების არ ამოწურვა

23. მთავრობა ამტკიცებდა, რომ განმცხადებელს, რომელმაც ეროვნულ სასამართლოებს მოსთხოვა მხოლოდ პირადობის მოწმობაში სიტყვა 'ისლამის' ჩანაცვლება სიტყვა 'ალევით', ჯეროვნად არ ჰქონდა ამოწურული სამართლებრივი დაცვის ეროვნული საშუალებები მის მიერ რელიგიისა და მრწამსის დარღვევის პრეტენზიასთან დაკავშირებით. მთავრობის აზრით, განმცხადებელს არასოდეს უმტკიცებია, რომ მის პირადობის მოწმობაში რელიგიის მითითება შეუთავსებელი იყო მის რელიგიისა და მრწამსის თავისუფლებასთან.

24. განმცხადებელს არ წარმოუდგენია ხსენებულთან დაკავშირებით საპასუხო კომენტარები მითითებულ ვადაში.

25. სასამართლო იმეორებს, რომ სამართლებრივი დაცვის ეროვნული საშუალებების ამოწურვის წესი, რომელიც მოცემულია კონვენციის 35-ე მუხლის 1-ელ პუნქტში, მოითხოვს განმცხადებლისაგან – რათა მან გამოიყენოს ეროვნულ დონეზე არსებული სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი და ადექვატური საშუალებები – და ამით მისცეს მოპასუხე სახელმწიფოს იმის შესაძლებლობა, რომ ამ პრეტენზიების სტრასბურგის სასამართლოში წარდგენამდე გამოსწოროს ის დარღვევები, რომლის ჩადენასაც ამტკიცებს განმცხადებელი. (სხვა მაგალითებს შორის იხ. *Fressoz and Roire v. France* [GC], no. 29183/95, § 37, ECHR 1999-I).

26. წინამდებარე საქმეში, სასამართლო აცხადებს, რომ ეროვნული სასამართლოების წინაშე წარდგენილ განაცხადში, რომელშიც განმცხადებელი კატეგორიულ პრეტენზიას გამოთქვამდა მასზე დაკისრებულ ვალდებულებასთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც მის პირადობის მოწმობაში მითითებული უნდა ყოფილიყო 'ისლამი', განმცხადებელი ნათლად ასაჩივრებდა მისი

რელიგიის მითითებას და ეყრდნობოდა კონსტიტუციის დებულებას, რომელიც იცავს რელიგიისა და მრწამსის თავისუფლებას და მის მოქალაქეობას სეკულარულ სახელმწიფოში (იხ. ზემოთ მე-7 პუნქტი).

27. სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ ეტაპზე თურქეთში სავალდებულო იყო რელიგიის მითითება პირადობის მოწმობებში და რომ ხსენებული, საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი 1995 წლის 21 ივნისს მიღებული გადაწყვეტილებით, შესაბამისად ჩათვალა კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-3 პუნქტთან მიუხედავად იმისა, რომ ამ დებულებაში ნათლად იყო მითითებული, რომ “დაუშვებელია ვინმეს იძულება... გაამჟღავნოს რელიგიური მრწამსი ან აღმსარებლობა”.

28. შესაბამისად იმ დროისათვის არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით, სასამართლოს ეჭვი არ ეპარება, რომ იმის მოთხოვნისას, რომ მის პირადობის მოწმობაში ‘ისლამზე’ მითითება შეცვლილიყო ‘ალევის’ მრწამსით, განმცხადებელი მიზნად ისახავდა ესარგებლა თურქეთის კონსტიტუციის 24 მუხლის მე-3 პუნქტით უზრუნველყოფილი რელიგიისა და მრწამსის თავისუფლებით, კერძოდ კი საკასაციო სასამართლოს წინაშე მან ნათლად გაასაჩივრა რელიგიის სავალდებულო მითითება და მოითხოვა, რომ არსებული ჩანაწერი წაშლილიყო მის პირადობის მოწმობაში (იხ. ზემოთ მე-10 პუნქტი).

29. შესაბამისად სასამართლო თვლის, რომ თურქეთის სასამართლოების წინაშე წარდგენილ არგუმენტაციაში განმცხადებელმა ნათლად მიუთითა კონვენციის მე-9 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებულ პრეტენზიებზე. შესაბამისად მთავრობის პირველადი პრეტენზია, რომ განმცხადებელს ამოწურული არ ჰქონდა სამართლებრივი დაცვის ეროვნული საშუალებები უარყოფილ უნდა იქნეს.

2. მსხვერპლის სტატუსი

30. მთავრობის მტკიცებით განმცხადებელს არ შეეძლო პრეტენზია განეცხადებინა რომ იყო რელიგიის გაცხადების თავისუფლების დარღვევის მსხვერპლი. მთავრობა აცხადებდა, რომ განმცხადებლისათვის უარის თქმა მის მოთხოვნაზე, არ არღვევდა რელიგიის გაცხადების უფლებას, რადგანაც რელიგიის მითითება პირადობის მოწმობაში არ შეიძლება განმარტებულ იქნეს იმგვარად, რომ აიძულებდა ყველა თურქ მოქალაქეს გაემჟღავნებინათ რელიგიური რწმენა და მრწამსი და ამით

უწესებდა შეზღუდვას გაეცხადებინათ თავიანთი რელიგია აღმსარებლობის, სწავლების, განხორციელებისა და წესების დაცვის სახით. გარდა ამისა, თურქეთის სასამართლოების პრეცედენტულ სამართალზე დაყრდნობით (იხ. ზემოთ მე-16 პუნქტი), მთავრობა ამტკიცებდა, რომ ნებისმიერ პირს ვისაც სრულად სურდა რელიგიასთან დაკავშირებით შესაბამისი ინფორმაციის წაშლა, შეეძლო მიემართა სამოქალაქო სასამართლოებისათვის.

31. სასამართლო თვლის, რომ მთავრობის არგუმენტი, რომ განმცხადებელი ვერ ისარგებლებს მსხვერპლის სტატუსის მქონე მჭიდროდ არის დაკავშირებული კონვენციის მე-9 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებულ პრეტენზიასთან. ამიტომაც სასამართლო ხსენებულ საკითხს განიხილავს არსებითი გნხილვისას (იხ. *mutatis mutandis*, *Airey v. Ireland*, 1979 წლის 9 ოქტომბერი § 19, Series A no. 32).

3. დაუშვებლობის სხვა საფუძვლები

32. სასამართლო აღნიშნავს, რომ წინამდებარე საჩივარი არ არის აშკარად დაუსაბუთებელი კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის მნიშვნელობით და არ არის დაუშვებლად გამოსაცხადებელი რაიმე სხვა საფუძვლით. შესაბამისად საჩივარი დაშვებულად უნდა გამოცხადდეს არსებით განხილვაზე.

ბ. კონვენციის მე-9 მუხლთან შესაბამისობა

1. მხარეთა არგუმენტები

33. მთავრობის მტკიცებით ადგილი არ ჰქონია განმცხადებლის რელიგიის თავისუფლებაში ჩარევას, რადგანაც შეუძლებელია პირდაპირი კავშირის დადგენა პირადობის მოწმობაში რელიგიური კუთვნილების მითითებასა და რელიგიისა და მრწამსის თავისუფლებას შორის. ხსენებული არ შეიძლება იმგვარად იქნეს განმარტებული რომ წარმოადგენს მოთხვნას პირმა გაამჟღავნოს თავისი რელიგიური მრწამსი ან რაიმენაირად შეზღუდოს პირის თავისუფლება გააცხადოს რელიგია აღმსარებლობით, სწავლებით, განხორციელებითა და წესების დაცვით.

34. თურქეთის საკონსტიტუციო სასამართლოს 1995 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით (იხ. მე-16 პუნქტი), მთავრობა ასევე ამტკიცებდა, რომ პირადობის მოწმობაში რელიგიის მითითება გავლენას ვერ ახდენს რელიგიისა და მრამსის

თავისუფლების უფლებაზე; ხსენებული განპირობებული იყო საჯარო პოლიტიკის მიზნებით, ზოგადი ინტერესითა და სოციალური მოთხოვნებით. ხსენებული არანაირად არ წარმოადგენდა რაიმე სახის ღონისძიებას, რომლის მიზანიც იქნებოდა რომელიმე პირის იძულება, რათა მას გაემძღავნებინა თავისი მრწამსი ან დაესაჯა ან პასუხისგებაში მიეცა ვინმე რელიგიური მრწამსის გამო. თურქეთის რესპუბლიკა წარმოადგენდა სეკულარულ სახელმწიფოს, რომელშიც რელიგიის თავისუფლება გაცხადებული იყო კონსტიტუციით. შესაბამისად გასაჩივრებული ღონისძიება არ შეიძლება ჩაითვალოს განმცხადებლის რელიგიის თავისუფლების შეზღუდვად.

35. გარდა ამისა მთავრობის აზრით პირადობის მოწმობის შინაარსის განსაზღვრა არ შეიძლება დამოკიდებული იყოს ყოველი ადამიანის ნება სურვილზე. თუკი გავითვალისწინებთ თუ რამდენი მიმდევრობაა ისლამის რელიგიის შიგნით (მაგალითად 'ჰანაფი' ან 'შაფი') ან მისტიკური ორდენები (როგორებიც არის 'მავლევი', 'ქადირი' ან 'ნაქშბანდი'), ერთი და იგივე რელიგიის სხვადასხვა განშტოებები და მიმართულებები არ უნდა ყოფილიყო მითითებული იმისათვის, რომ დაცული ყოფილიყო საჯარო წესრიგი და სახელმწიფოს ნეიტრალიტეტი. რაც შეეხება რელიგიურ საკითხთა დირექტორატის როლს, მთავრობა აცხადებდა, რომ შესაბამისი კანონმდებლობის თანახმად, ხსენებული დირექტორატი პასუხისმგებელი იყო გაცეა კონსულტაციები მუსლიმანურ რელიგიასთან დაკავშირებულ საკითხებზე. დირექტორატი მოქმედებდა სეკულარიზმის პრინციპის დაცვით და პასუხისმგებელი იყო გაეთვალისწინებინა მუსლიმანური რელიგიის ფუნდამენტური საფუძვლები, რომელებიც აუცილებელია მუსლიმანებისათვის. გარდა ამისა, კონსტიტუციის მე-10 მუხლზე დაყრდნობით (იხ. ზემოთ მე-12 პუნქტი), მთავრობა აღნიშნავდა, რომ სახელმწიფო ვალდებული იყო უზრუნველყო, რომ ერთი და იგივე რელიგიის წარმომადგენელ სხვადასხვა სექტებსა და განმარტებებთან მიმართებაში განხორციელებულიყო ერთნაირი მიდგომა.

36. განმცხადებელმა, რომელმაც არ წარადგინა კომენტარები მითითებულ ვადაში, განაცხადა თავის სარჩელში, რომ ხელისუფლების ორგანოების მხრიდან იმაზე უარის თქმამ, რომ მის პირადობის მოწმობაში სიტყვა 'ისლამი' შეცვლილიყო მისი მრწამსით 'ალევი', წარმოადგენდა ჩარევას მის რელიგიის თავისუფლებაში. იგი ასევე ჩიოდა იმასთან დაკავშირებით, რომ იგი ვალდებული იყო გაემძღავნებინა თავისი რელიგია, რადგანაც ხსენებული სავალდებულო იყო პირადობის მოწმობისათვის.

2. სასამართლოს შეფასება

37. სასამართლო იმეორებს, რომ როგორც ეს ასახულია მე-9 მუხლში, კონვენციის მნიშვნელობით აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება წარმოადგენს 'დემოკრატიული საზოგადოების' უმნიშვნელოვანეს მახასიათებელს. რელიგიური მიმართულებით ეს უფლება შეიცავს უმნიშვნელოვანეს ელემენტებს, რომლებიც დამახასიათებელია მორწმუნე ადამიანებისათვის და მათი ცხოვრების სტილისათვის, მაგრამ ამ მუხლის დაცვით ასევე სარგებლობენ ათეისტები, აგნოსისტები, სკეპტიკოსები და ურწმუნონი. პლურალიზმი, რომელიც დემოკრატიული საზოგადოების მახასიათებელია, და რომელიც მოპოვებულ იქნა საუკუნეების ბრძოლის შედეგად, სწორედ მასზეა დამოკიდებული. ხსენებული თავისუფლება *inter alia* მოიცავს რელიგიური რწმენის ქონის ან არ ქონის თავისუფლებას რელიგიის განხორციელების ან განუხორციელებლობის თავისუფლებას (სხვა მაგალითებს შორის იხ. *Kokkinakis v. Greece*, 1993 წლის 25 მაისი, § 31, Series A no. 260-A, and *Buscarini და Others v. San Marino* [GC], no. 24645, § 34, ECHR 1999-I).

38. მაშინ როდესაც რელიგიური თავისუფლება წარმოადგენს პირადი მრწამსის საკითხს, იგი ასევე მოიაზრებს პირის თავისუფლებას გააცხადოს რელიგია მარტომ და პრივატულად ან საზოგადოდ სხვებთან ერთად, საჯაროდ და თანამორწმუნეებთან ერთად. გარდა ხსენებულისა სასამართლოს ასევე გააჩნდა იმის აღნიშვნის შანსი, რომ მე-9 მუხლი ასევე მოიცავს ნეგატიურ უფლებებს, მაგალითად იმის თავისუფლებას, რომ პირს არ გააჩნდეს რელიგიური მრწამსი და არ განახორციელოს რელიგია (იხ. ხსენებულთან დაკავშირებით *Kokkinakis*, and *Buscarini and Others* –ის ზემოხსენებული საქმე).

39. სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელს, რომელმაც განაცხადა, რომ იგი იყო ალევის რელიგიური მიმდევრობის წევრი, უხდებოდა ისეთი პირადობის მოწმობის ტარება, რომელშიც მის რელიგიად მითითებული იყო ისლამი. 2004 წლის 7 მაისს განმცხადებელმა მიმართა იზმირის რაიონულ სასამართლოს, რათა მისი მრწამსი ასახული ყოფილიყო რელიგიის გრაფაში (იხ. ზემოთ მე-7 პუნქტი). გარდა ხსენებულისა განმცხადებელმა გაასაჩივრა რელიგიის სავალდებულო მითითება საკასაციო სასამართლოში და მოითხოვა ალტერნატივის სახით გრაფაში მითითებული რელიგიის წაშლა. ხსენებულის მოთხოვნისას იგი ეყრდნობოდა საკუთარ უფლებას, რომლის თანახმადაც დაუშვებელი იყო მისი

იძულება, რათა გაემჟღავნებინა საკუთარი მრწამსი (იხ. ზემოთ მე-10 პუნქტი). თუმცა რელიგიურ საკითხთა დირექტორატის მოსაზრებაზე დაყრდნობით, რაიონულმა სასამართლომ უარყო განმცხადებლის მოთხოვნა იმ არგუმენტზე დაყრდნობით, რომ “პირადობის მოწმობებში მითითებულია მხოლოდ ზოგადად რელიგიები და არა რომელიმე კონკრეტული რელიგიის ქვე მიმდინარეობა ან ქვეკატეგორია”. რაც შეეხება ეროვნულ სასამართლოს, ‘ალევის რწმენა წარმოადგენს ისლამის ინტერპრეტაციას, რომელზეც ზეგავლენას ახდენს სუფიზმი და რომელსაც გააჩნია კონკრეტული კულტურული მახასიათებლები (იხ. ზემოთ მე-9 პუნქტი)’.

40. სასამართლო აცხადებს, რომ იმ დროისათვის არსებული ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, განმცხადებელი, ისევე როგორც თურქეთის ყველა მოქალაქე, ვალდებული იყო ჰქონოდა პირადობის მოწმობა, რომელშიც მითითებული იყო რელიგია. ხსენებული საჯარო დოკუმენტის წარდგენა სავალდებულო იყო საჯარო ხელისუფლების ორგანოების მოთხოვნის შემთხვევაში ან კერძო საწარმოებში ან ნებისმიერი ფორმის განხორციელების კონტექსტში, რომელიც მოითხოვდა მფლობელის იდენტიფიცირებას.

41. ამ მიმართებით, სასამართლო მიიჩნევს აუცილებლად გაიმეოროს, რომ საქმეში სოფიანოპოლუსი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ (*Sofianopoulos and Others v. Greece* ((dec.), nos. 1977/02, 1988/02 და 1997/02, ECHR 2002-X)) დადგენილ იქნა, რომ პირადობის მოწმობა არ უნდა იქნას განხილული როგორც საშუალება, რომელიც მიზნად ისახავს რომელიმე რელიგიის ან რწმენის მიმდევრების მიერ რაიმენაირად მათი რელიგიის განხორციელებას ან გაცხადებას. ამავდროულად, უნდა აღინიშნოს რომ რელიგიის ან რწმენის გაცხადების უფლება ასევე გულისხმობს ნეგატიურ ასპექტს, უფრო კონკრეტულად, ინდივიდის უფლებას არ იქნას დავალდებული გაამჟღავნოს მისი რელიგია ან რწმენა და ისეთი ქმედების ვალდებულებისგან თავისუფლებას, რომლიდანაც შესაძლებელია ამგვარი რწმენის არსებობის ან არარსებობის დადგენა. შედეგად, სახელმწიფო უწყებები არ არიან უფლებამოსილი ჩაერიონ ინდივიდის სინდისის თავისუფლებით დაცულ სფეროში და მოითხოვონ მისი რელიგიური რწმენის იდენტიფიცირება ან დაავალდებულონ ამგვარი ინფორმაციის გამჟღავნება. (იხილეთ *ალეხანდრიდის Alexandridis v. Greece*, no. 19516/06, § 38, 2008 წლის 21 თებერვალი). სასამართლომ უნდა შეაფასოს აღნიშნული საქმე რელიგიის და სინდისის თავისუფლების ნეგატიური ასპექტის კუთხით, უფრო ზუსტად,

ინდივიდის უფლებით არ იქნას დავალდებულებული რწმენის გამჟღავნებით.

42. სასამართლოს არ მიაჩნია სარწმუნოდ მთავრობის არგუმენტი, რომლის მიხედვითაც განსახილველი მითითება არ უნდა იქნას ინტერპრეტირებული, როგორც ყველა თურქი მოქალაქის ვალდებულება გაამჟღავნონ მათი რელიგიური მრწამსი და რწმენა. ამ შემთხვევაში განსახილველი საკითხი არის ყველა ინდივიდის რელიგია ან რწმენა, რომელიც ექცევა პირთა *forum internum*–ში. ეს წარმოადგენს რელიგიის და სინდისის თავისუფლებიდან მომდინარე ნაგულისხმევ უფლებას. მეცხრე მუხლის ისეთი განმარტების პირობებში, როდესაც რელიგიის ან რწმენის ყველა სახის გამჟღავნების ვალდებულება იქნება ნებადართული, შერყეულ იქნება გარანტირებული თავისუფლების საფუძველი (იხილეთ, *mutatis mutandis*, Young, James and Webster v. the United Kingdom, 1981 წლის 13 აგვისტო, § 52, Series A no. 44; ასევე იხილეთ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა განსხვავებული აზრები, პარაგრაფი 16, ზემოთ).

43. ასევე, პირადობის მოწმობის ხშირი გამოყენების მოცემულობის პირობებში (სასკოლო რეგისტრაცია, ვინაობის შემოწმება, სამხედრო სამსახური და სხვა), ისეთ ოფიციალურ დოკუმენტებში რელიგიური რწმენის მითითება როგორცაა პირადობის მოწმობა, შეიცავს მის მფლობელთა დისკრიმინაციის რისკს ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობისას (იხილეთ ზემოხსენებული *Sofianopoulos and Others*).

44. უფრო მეტიც, სასამართლო ვერ ხედავს იმის აუცილებლობას, თუ რატომ უნდა მოხდეს დემოგრაფიული მიზნებისთვის რელიგიის მითითება სამოქალაქო რეგისტრაციისას ან პირადობის მოწმობებზე, რაც რატომ უნდა გამოიწვევს ისეთი კანონმდებლობის მიღების საჭიროებას, რომელიც დაავალდებულებს ინდივიდებს გაამჟღავნონ მათი რელიგია.

45. სასამართლო ასევე უთითებს, რომ განმცხადებელმა სადავოდ გახადა მისი განაცხადის უარყოფის პროცედურა, რომლის ფარგლებშიც რელიგიურ საქმეთა დირექტორატმა მისი რწმენა განიხილა, როგორც ისლამის ინტერპრეტაცია (იხილეთ ზემოთ 22–ე პარაგრაფი). ამ მიმართებით, სასამართლო უთითებს, რომ არაერთხელ აღნიშნულა დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფოს ძირითადი ვალდებულება უზრუნველყოს პლურალიზმი, მათ შორის რელიგიური და მიეთითა ხელისუფლების როლზე არ მიიღონ რომელიმე რელიგიის სასარგებლო ღონისძიებები მეორის საპირისპიროდ, რაც მიზნად

ისახავს დიფერენცირებული საზოგადოების ან მისი ნაწილის იძულებას ერთი მმართველობის ქვეშ გაერთიანდნენ ნების საწინააღმდეგოდ (იხილეთ *Serif v. Greece*, no. 38178/97, § 53, ECHR 1999-IX). სახელმწიფოს ნეიტრალურობის და მიუკერძოებლობის ვალდებულება, როგორც ეს განსაზღვრლია სასამართლო პრაქტიკით, შეუთავსებელია ნებისმიერ ისეთ უფლებამოსილებათა, რომლითაც მას ენიჭება კომპეტენცია შეფასოს რელიგიურ რწმენათა ლეგიტიმურობა და ავალდებულებს სახელმწიფოს უზრუნველყოფს ტოლერანტული თანაარსებობა მოწინააღმდეგე ჯგუფთა შორის, მაშინაც კი როდესაც ისინი ერთი და იგივე წარმომავლობის არიან (იხილეთ, *mutatis mutandis*, *Manoussakis and Others v. Greece*, 1996 წლის 26 სექტემბერი, § 47, *Reports of Judgments and Decisions* 1996-IV, იხილეთ ასევე *Metropolitan Church of Bessarabia and Others v. Moldova*, no. 45701/99, § 123, ECHR 2001-XII).

46. შესაბამისად სასამართლო მიიჩნევს, რომ განმხადებლის რელიგიის სახელმწიფო უწყებათა მიერ შეფასება, შესაბამისი ისლამური რელიგიის საქმეთა პასუხისმგებელი ორგანოს მოსაზრების საფუძველზე, არღვევდა სახელმწიფოს ნეიტრალურობის და მიუკერძოებლობის ვალდებულებას.

47. მთავრობამ მიაპყრო სასამართლოს ყურადღება იმ ფაქტს, რომ სამოქალაქო რეგისტრაციის აქტით განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ, განმცხადებელს მიეცა უფლება მოეთხოვა რელიგიის აღმნიშვნელი გრაფის არ შევსება (იხილეთ ზემოთ პარაფრაფები 17–18).

48. სასამართლო მიუთითებს, რომ 2006 წლის 29 აპრილის სამოქალაქო რეგისტრაციის აქტის მიხედვით, სამოქალაქო რეესტრი კვლავ ინარჩუნებდა ინდივიდთა რელიგიის შესახებ ინფორმაციას (აქტის მეშვიდე სექცია). მაგრამ 35(2)–ე სექციის მიხედვით „პირის რელიგიის შესახებ ინფორმაცია შეიძლება შეყვანილ ან შეცვლილ იქნას მისი წერილობითი განცხადების საფუძველზე; ამ მიზნით შესაბამისი გრაფა შეიძლება იქნას დატოვებული შეუვსებლად ან ინფორმაცია წაშლილი“.

49. სასამართლოს შეხედულებით, აღნიშნული ცვლილებები არ ახდენენ გავლენას ზემოაღნიშნულ საკითხზე, რადგან პირადობის მოწმობები კვლავ შეიცავენ რელიგიის გრაფას – მიუხედავად იმისა ისინი ცარიელნი არიან თუ არა. უფრო მეტიც, ყველას ვისაც უნდა, რომ შეცვალოს პირადობის მოწმობაზე მისი რელიგიის შესახებ ინფორმაცია ან უარს აცხადებენ მის მითითებაზე, უნდა წარადგინონ წერილობითი განცხადება აღნიშნულის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისი კანონმდებლობა და

რეგულაციები არაფერს ამბობენ განცხადების შინაარსზე, სასამართლო მიიჩნევს, რომ სამოქალაქო რეესტრისთვის მიმართვის უბრალო ფაქტი, რელიგიის შესახებ ინფორმაციის წასაშლელად, შეიძლება წარმოადგენდეს პირის რელიგიისადმი დამოკიდებულების ინფორმაციის გამჟღავნებას (იხილეთ, *Folgerø and Others v. Norway* [GC], no. 15472/02, § 98, ECHR 2007-III, და *Hasan and Eylem Zengin*, , ზემოთ ციტირებული, § 73).

50. აღნიშნულს ადასტურებს განმცხადებლის შემთხვევა. მან უნდა აცნობოს მისი რწმენის შესახებ სახელმწიფო უწყებებს, რათა ეს ინფორმაცია დატანილ იქნეს პირადობის მოწმობაზე. რადგანაც აღნიშნული დოკუმენტის აღება ხორციელდება ამ გზით და ყოველდღიურ ცხოვრებაში ხშირად გამოიყენება, იგი ფაქტობრივად ავალდებულებს განმცხადებელს გაამჟღავნოს მისი რელიგიური რწმენა ნების საწინააღმდეგოდ პირადობის მოწმობის ყოველი გამოყენებისას.

51. ნებისმიერ შემთხვევაში, როცა პირადობის მოწმობებს აქვთ რელიგიური გრაფა, მისი ცარიელად დატოვება გარკვეული თანმდევი კონოტაციის მატარებელია. ის პირები, რომლებიც უარს განაცხადებენ მათი რელიგიის პირადობის მოწმობაზე გამოსახვაზე, სახელმწიფოს ჩარევის შედაგად და მათი სურვილის საწინააღმდეგოდ გარიყულნი იქნებიან სხვათა მიერ, რომლებმაც შეავსეს შესაბამისი რელიგიური რწმენის გრაფები თავიანთ პირადობის მოწმობებზე. ასევე ის ფაქტი, რომ პირადობის მოწმობაზე ასახულია პირის გადაწყვეტილება არ გაამჟღავნოს მისი რელიგიური მრწამსი, მჭიდროდაა დაკავშირებული ინდივიდის რწმენასთან. შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ პირის ყველაზე ინტიმური ასპექტების გამჟღავნების ვალდებულება მაინც სახეზეა.

52. ეს სიტუაცია უდავოდ წინააღმდეგობაში მოდის იმ პრინციპთან, რომ არ უნდა იქნას გაჟღავნებული პირის რელიგიის ან რწმენის შესახებ ინფორმაცია. აღნიშნულის შემდეგ, სასამართლო აღნიშნავს რომ ამ საქმეში დარღვევა გამოწვეულია არა განმცხადებლის რელიგიის (ალევის) პირადობის მოწმობაზე მიუთითებლობით, არამედ, რელიგიის ბარათზე მითითების პრობლემით – მიუხედავად იმისა იგი სავალდებულო იყო თუ არჩევითი. შესაბამისად, განმცხადებელი შეიძლება კვლავ ჩაითვალოს დარღვევის მსხვერპლად, მიუხედავად 2006 წლის 29 აპრილის საკანონმდებლო ცვლილებებისა და ამ მიმართებით უარყოფილ უნდა იქნას მთავრობის შუამდგომლობა (იხილეთ ზემოთ 31-ე პარაგრაფი).

53. კონვენციის მეცხრე მუხლის დარღვევას ჰქონდა ადგილი.

III. კონვენციის მე-6 და მე-14 მუხლების სავარაუდო დარღვევა

54. განმცხადებელი ასევე ითხოვდა კონვენციის მეექვსე მუხლის დარღვევას იმ საფუძველით, რომ რაიონულმა სასამართლომ გაითვალისწინა მხოლოდ რელიგიურ საქმეთა დირექტორატის, სახელმწიფო უწყების მოსაზრება. ამ მიმართებით აღნიშნა, რომ ეს ინსტიტუცია არ იყო კომპეტენტური წარმოედგინა მოსაზრება ალევის რწმენასთან დაკავშირებით, რადგან არ გააჩნდა შესაბამისი სპეციალიზაცია და ინტერესი მასში. მან აღნიშნა, რომ თუკი სასამართლო მოითხოვდა მოსაზრებას „ფედერაცია ალევი-ბეკტაშის ასოციაციიდან“, ინტერპრეტაცია იქნებოდა რელიგიურ საქმეთა დირექტორატისგან განსხვავებული. სასამართლოს უნდა მიეღო ამ ფედერაციის ან სხვა რელიგიური სპეციალისტის მოსაზრება. განმცხადებლის არგუმენტაციით, შიდა სასამართლოებმა განახორციელეს არასაკმარისი გამოძიება, რამაც პროცესის არასამართლიანობა გამოიწვია.

55. საბოლოოდ, განმცხადებელმა მიუთითა, რომ მისი თხოვნა შიდა სასამართლოთა მიერ უარყოფილ იქნა, რადგან ის იყო ალევის რელიგიური საზოგადოების წევრი. რაიონულმა სასამართლომ გაიზიარა მხოლოდ სახელმწიფო უწყების მოსაზრება, რომელიც ალევის რელიგიის არსებობას უარყოფდა და არ გაითვალისწინა ზემოაღნიშნული ფედერაციის მოსაზრება. განმცხადებლის შეხედულებით, აღნიშნული წარმოადგენდა დისკრიმინაციას და შესაბამისად, კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევას.

56. მთავრობამ არ გაიზიარა აღნიშნული არგუმენტაცია.

57. სასამართლო მიუთითებს, რომ აღნიშნული საჩივრები ეხება ზემოაღნიშნულ საკითხებს და შესაბამისად მიჩნეულ უნდა იქნეს დასაშვებად. მაგრამ, კონვენციის მეცხრე მუხლის მიმართ სასამართლოს დასკვნების მხედველობაში მიღებით (53-ე პარაფრაფი, ზემოთ), სასამართლო უთითებს, რომ არ არის აუცილებლობა ცალკე განიხილოს განმცხადებლის მიერ მითითებული მუხლების დარღვევა.

IV. კონვენციის 41-ე და 46-ე მუხლების გამოყენება

58. კონვენციის 41-ე და 46-ე მუხლების მიხედვით:

41-ე მუხლის თანახმად

„ თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.

“

46–ე მუხლი

1. „მაღალი ხელშემკვრელი მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, დაემორჩილონ სასამართლოს საბოლოო განჩინებას ნებისმიერ საქმეზე, რომლის მხარეებიც ისინი არიან.
2. სასამართლოს საბოლოო განჩინება გადაეცემა მინისტრთა კომიტეტს, რომელიც ზედამხედველობს მის აღსრულებას “

59. განმცხადებელმა არ წარმოადგინა მოთხოვნა სამართლიანი დაკმაყოფილების შესახებ შესაბამის დროში. სასამართლო შესაბამისად მიიჩნევს, რომ არ არსებობს ამ მიმართებით კომპენსაციის მიკუთვნების აუცილებლობა.

60. სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ აღნიშნულ საქმეში მან დაადგინა, რომ მოქალაქის რელიგიის მითითება სამოქალაქო რეესტრში ან პირადობის მოწმობაზე შეუთავსებელია პირის რელიგიის გამჟღავნების თავისუფლებასთან (იხილეთ ზემოთ, 53–ე პარაგრაფი). ეს დასკვნები თავისთავად გულისხმობენ, რომ განმცხადებლის უფლების, რომელიც თავის მხრივ დაცულია კონვენციის მეცხრე მუხლით, დარღვევა გამოიწვია რელიგიის პირადობის მოწმობებზე მითითებამ – მიუხედავად იმისა, აღნიშნული სავალდებულო იყო თუ არჩევითი.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სასამართლო

1. აცხადებს განაცხადს დასაშვებად ხმათა უმრავლესობით;
2. განიხილავს არსებითად, ექვსი ხმით ერთის წინააღმდეგ, მთავრობის შუამდგომლობას განმცხადებლის მსხვერპლის სტატუსთან დაკავშირებით და უარყოფს მას ექვსი ხმით ერთის წინააღმდეგ.
3. ადგენს, ექვსი ხმით ერთის წინააღმდეგ, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მეცხრე მუხლის დარღვევას.

4. ადგენს, ექვსი ხმით ერთის წინააღმდეგ, რომ არ არსებობს დამოუკიდებელი საფუძველი განხილულ იქნას კონვენციის მეექვსე და მეთოთხმეტე მუხლების დარღვევა ამ საქმეში.

შესრულებულია ფრანგულად და გაცხადებულია წერილობითი ფორმით 2010 წლის 2 თებერვალს, სასამართლოს რეგლამენტის 77 § 2 მუხლის შესაბამისად.

სალი დოლე
სექციის რეგისტრატორი

ფრანსუაზა ტულკენსი
თავმჯდომარე

© ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2012

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში სამართალწარმოების ენებია ინგლისური და ფრანგული. წინამდებარე თარგმანი განხორციელდა ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდის მხარდაჭერით (www.coe.int/humanrightstrustfund). თარგმანი არ ატარებს სასამართლოსათვის სავალდებულო ხასიათს და სასამართლო არ კისრულობს რაიმე სახის პასუხისმგებლობას თარგმანის ხარისხზე. თარგმანის ჩამოტვირთვა შესაძლებელია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს HUDOC -ის პრეცედენტული სამართლის მონაცემთა ბაზიდან (<http://hudoc.echr.coe.int>) ან ნებისმიერი სხვა მონაცემთა ბაზიდან რომელსაც გააჩნია წვდომა სასამართლოს მონაცემთა ბაზაზე. თარგმანის გამოყენება შეიძლება არაკომერციული მიზნებისათვის იმ პირობით, რომ მოხსენიებული იქნება საქმის სრული დასახელება, ზემოხსენებული მითითება საავტორო უფლებისა და ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდის შესახებ. იმ შემთხვევაში თუკი იგეგმება წინამდებარე თარგმანის რომელიმე ნაწილის გამოყენება კომერციული მიზნებისათვის, გთხოვთ მოგვმართოთ ელექტრონული ფოსტის შემდეგ მისამართზე publishing@echr.coe.int

© Council of Europe/European Court of Human Rights, 2012.

The official languages of the European Court of Human Rights are English and French. This translation was commissioned with the support of the Human Rights Trust Fund of the Council of Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). It does not bind the Court, nor does the Court take any responsibility for the quality thereof. It may be downloaded from the HUDOC case-law database of the European Court of Human Rights (<http://hudoc.echr.coe.int>) or from any other database with which the Court has shared it. It may be reproduced for non-commercial purposes on condition that the full title of the case is cited, together with the above copyright indication and reference to the Human Rights Trust Fund. If it is intended to use any part of this translation for commercial purposes, please contact publishing@echr.coe.int.

© Conseil de l'Europe/Cour européenne des droits de l'homme, 2012.

Les langues officielles de la Cour européenne des droits de l'homme sont le français et l'anglais. La présente traduction a été effectuée avec le soutien du Fonds fiduciaire pour les droits de l'homme du Conseil de l'Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). Elle ne lie pas la Cour, et celle-ci décline toute responsabilité quant à sa qualité. Elle peut être téléchargée à partir de HUDOC, la base de jurisprudence de la Cour européenne des droits de l'homme (<http://hudoc.echr.coe.int>), ou de toute autre base de données à laquelle HUDOC l'a communiquée. Elle peut être reproduite à des fins non commerciales, sous réserve que le titre de l'affaire soit cité en entier et s'accompagne de l'indication de copyright ci-dessus ainsi que de la référence au Fonds fiduciaire pour les droits de l'homme. Toute personne souhaitant se servir de tout ou partie de la présente traduction à des fins commerciales est invitée à le signaler à l'adresse suivante : publishing@echr.coe.int